



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N16

ქ. მარნეული

05.10.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ვალი ისმაილოვი, ვანო ბურნაძე, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გულმამედოვი, ჯომგუნ ზეინალოვი, ლერი მუმლაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, ნიზამი ვალიევი, სულეიმან ხალილოვი.

არ ესწრებოდა:

- ზურაბ ჭონიაშვილი, ზურაბ სხირტლაძე, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ მუსაევი.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი როენა ახოზაძე.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:

„მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამილ მუსაევი, „დემოკრატ ქალთა საზოგადოების“ პიარ მენეჯერი თამარ ცოტნაშვილი, მარნეულის ქალთა საზოგადოების პროექტის მენეჯერი ოლგა ენდელაძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3129 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3936 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3131 განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3329 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2598-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2610-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2607-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2608-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. სოციალური საკითხები
12. ქორეოგრაფიული ანსამბლ „ენგური“-ს ქორეოგრაფის ლევან ყურავას განცხადების განხილვის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა რამიზ გიულმამედოვმა და ნიზამი ვალიევმა გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ მათ დატოვეს პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, ვინაიდან მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა პარტიის მიერ მარნეულში განხორციელებული შიდაპარტიული საკადრო პოლიტიკა. ისინი მხარს უჭერენ პოლიტიკურ გაერთიანებას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს და მომავალში აპირებენ ითანამშროლონ ფრაქცია „ქართული ოცნება“-სთან. მათი განცხადების შემდეგ განცხადება გააკეთა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მამედ მამედოვმა, რომელმაც 2014 წლის ნოემბრის თვეში დატოვა პოლიტიკური პარტია და შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატები“, რაც საფუძველი გახდა ზემოაღნიშნული ფრაქციის დაშლისა. მამედ მამედოვმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია ყოფილი თანაპარტიელების გადაწყვეტილება და სურვილი აქვს კვლავ მათთან ერთად გააგრძელოს მოღვაწეობა საკრებულოში. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება საკრებულოს

წევრების ამ გადაწყვეტილებას და ფრაქციის წევრებთან ერთად მზადაა ყველა პირობა შექმნას იმისათვის, რომ მათ თავი იგრძნონ ფრაქციის სრულფასოვან წევრებად.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინილება N35. 05.10.2015 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3129 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2015 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N143. 05.10.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/11462550-ს მიხედვით 60 ლარი და 80 თეთრი და ქვითარი N 50/11462551-ს მიხედვით - 3 ლარი და 80 თეთრის გადარიცხვა მეჩეთის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N145. 05.10.2015 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3936 წერილის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავისა და ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N284 განკარგულების პირველ პუნქტში და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს დაემატოს 250 ლიტრი საწვავი და იგი 650 ლიტრის ნაცვლად განისაზღვროს 900 ლიტრით. ასევე შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავისა და ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N284 განკარგულების მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტში და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს დაემატოს 150 ლარის სასაუბრო ბარათის ლიმიტი და იგი 200 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 350 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N146. 05.10.2015 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 7 სექტემბრის N03/3131 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის

გათვალისწინებით, საგადასახადო კოდექსის“ საქართველოს კანონის 206-ე მუხლის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა განთავისუფლდეს 2015 წლის მიწის გადასახადისაგან მარნეულის მუნიციპალიტეტის შემდეგი პირები: 1. სოფელ წერეთელში - თამაზი სისვაძე (პ/ნ. 28001077886) 8 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე; 2. ქალაქ მარნეულში - დავითი (პ/ნ.28001104605), გიორგი (პ/ნ. 28001115455) და კონსტანტინე (პ/ნ. 28601128672, მამა პარმენ ენდელაძე 28001012239) ენდელაძეები 23 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე; 3. სოფელ შაუმიანში - ელდარი ბოჭორიშვილი (პ/ნ. 10002000543) 105 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N147. 05.10.2015 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 სექტემბრის N03/3329 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე განთავსდეს მოძრაობის დასარეგულირებელი საგზაო ნიშნები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N149. 05.10.2015 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3920 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 ოქტომბრის N2598-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე კავკაზ ბოზდიევის (პ/ნ. N28001007732) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.01.09.568, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, გუდიაშვილის ქუჩა N48ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N150.05.10.2015 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3926 და N03/3941 წერილებით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2604-03 და N2610-03 მოხსენებითი ბარათებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ვაკილ უმბატოვის (პ/ნ. N28001010564) საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.21.233, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა, ჩიხი II, სახლი N3 ბ

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N151. 05.10.2015 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3937 წერილით შემოსული, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 2 ოქტომბრის N2607-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე საიდ კარაევის (პ/ნ. N28001015790) საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.19.353, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, აბდულა შაიგის ქუჩა N34ა

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N152. 05.10.2015 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3923 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ჯავის რაიონიდან მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩამოსახლებული 46 ოჯახისათვის, მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის მე-3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტში ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებული დევნილების მიწის ნაკვეთების საინჟინრო-გეოლოგიური და ტოპო გეგმების მომზადების სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N153. 05.10.2015 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანიმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - იური დარბაიძეს - 100 ლარი, ლარისა ბუდახიანს - 100 ლარი, დავით ქალდანს - 100 ლარი, ნიზამი ნოვრუზოვს - 100 ლარი, ზამინა ბაირამოვას - 100 ლარი, მულკადარ მამედოვს - 100 ლარი, ტელმან კარახმაზლის - 100 ლარი, ალი ალიევს - 100 ლარი, ლიდია გარანჟას - 100 ლარი, შოვკატ ოსმანოვას - 100 ლარი, არარატ

ადამიანს - 100 ლარი, ბინატ მურსალოვს - 100 ლარი, ლია გუჯეჯიანს - 100 ლარი, ლალა ფარზალიევას - 100 ლარი, ელმან სულეიმანოვს - 100 ლარი, რამილ ტახმაზოვს - 100 ლარი, ისლამ სულთანოვს - 100 ლარი, ტოფიკ ყურბანოვს - 100 ლარი, ილკინ გულიევს - 100 ლარი, ლია შერვაშიძეს - 100 ლარი, ზახიდ გახრამანოვს - 100 ლარი, ტელმან სულეიმანოვს - 100 ლარი, ასიფ მუსაევს - 100 ლარი, ხატინ ისმაილოვას - 100 ლარი, გიუნაი გარიბოვას - 100 ლარი, რომიკ მნაცაკანიანს - 100 ლარი, აზერ გუსეინოვს - 100 ლარი, სარმაია იუსუბოვას - 100 ლარი, ელმირა ალაზოვას - 100 ლარი, გასიმ ნაგიევს - 100 ლარი. **მედიკამენტებისათვის** - ნარიმან აღმამედოვს - 350 ლარი, ნაზირა კასუმოვას - 200 ლარი, შახმურად ოჯაგოვის მეუღლეს ელმირა ოჯაგოვას - 430 ლარი, ილო სადღობელაშვილს - 500 ლარი, დუნიადარ ბაირამოვის და სამილა ბაირამოვას - 350 ლარი, კიფაიატ პირიევას - 270 ლარი, დარო ჩხიტუნძიძეს - 295 ლარი, ზარიფა ომაროვას - 190 ლარი, ციური გოგოლაშვილის დედას ასმათ გოგოლაშვილს - 185 ლარი, მარიამ გოგინის მეუღლეს ედუარდ გოგინს - 280 ლარი, ელხან საფაროვის დედას გულუ საფაროვას - 305 ლარი, მარინა ჩხიტუნძიძეს - 600 ლარი, სოლმაზ პირიევას - 245 ლარი, ახმედ ნასიბოვს - 280 ლარი, შამილ ბაირამოვს - 230 ლარი, ამირ გამზაევის შვილს იბრაგიმ გამზაევს - 375 ლარი, ალი სადიგოვს - 235 ლარი, ზიადინ ხამბატოვის მეუღლეს ბანოვმა ხამბატოვას - 140 ლარი. **მკურნალობისათვის** - რიზა ისმაილოვს - 400 ლარი, ფიკრატ ბუდაგოვს - 400 ლარი, რაშიდ ალიზადეს მეუღლეს ალიდა ალიზადეს - 400 ლარი. **საოპერაციო** - შახბანდიარ ისკანდაროვის შვილს არიფ ისკანდაროვს - 490 ლარი, ლეილა ბაბაევას - 430 ლარი, აკიფ შაბანოვის შვილიშვილს ილქინ შაბანოვს - 475 ლარი, შალვა მოძიშვილის მეუღლეს ქეთინო ზურებიანს - 145 ლარი. ხოლო საკრებულოს მიერ გაცემული **საგარანტიო** წერილებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, თახირ მაგარამოვისათვის - 350 ლარის, მანუშაკ ჩობანიანისათვის - 120 ლარის, ქიამალ ბაირამოვისათვის - 306 ლარის, ელნარა აზიზბეკოვასათვის დარჩენილი თანხის - 210 ლარის გადარიცხვა, ხოლო როგორც გამონაკლისი, სოფელ დამია გეურარხში მცხოვრები ადილხან იმანოვის შვილის გუნაი იმანოვის ენდოპროტეზირებისათვის 3900 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულებები N144 და N148. 05.10.2015 წ)

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს თავმჯდომარემ გიორგი შუკაკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქორეოგრაფიული ანსამბლ „ენგური“-ს ქორეოგრაფის ლევან ყურავას განცხადება, რომელიც ანსამბლის ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გასამგზავრებლად ითხოვს მგზავრობის ღირებულების დაფინანსებას 30 ბავშვზე. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის განხილვა მოხდეს ბიუჯეტის კულტურის ფონდში თანხის მოძიების შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეთექვსმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი